№ 68 | მთავრობის მოამბე | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. | პარასკევი, 26 მარტი 192 წ

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მან., ცალკე ნომერი ყველგან 2 მა., განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის ეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

საქართველოს კონსტიტუციისთვის.

ეროვნული უმცირესობანი.

ეროვნულ უმცირესობათა საკითხი შეიძლება დაუკავშირდეს საზოგადოთ ეროვნულ საკითხს და განხილულ იქნეს ზოგადი თვალსაზრისით, როგორც ნაწილი უფრო დიდი და რთული პრობლემისა. ეს ერთსა და იმავე დროს არის საკვლევ-საძიებელი საქმე ისტორიის ფილოსოფიისა, სოციოლოგიისა, უფლებისა და პოლიტიკისა.

მაგრამ დღეს ასე ფართოდ მას ჩვენ ვერ განვიხილავთ. საამისოდ არც დრო გვაქვს და არც ისე საჭიროა ეს ჩვენი წერილების დედა აზრისთვის. ჩვენ ამ საკითხს, საკითხს ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, ჩავსვამთ უფრო ვიწრო ჩარჩოებში, განვიხილავთ საერთოდ პოლიტიკური და სახელმწიფო უფლების თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი შევეხებით იმდენად, რამდენადაც ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში უნდა მოეწყოს ეროვნულ უმცირესობათა განსაზღვრული უფლებრივი ურთიერთობა.

პირდაპირ შეგვიძლია აქ განვაცხადოთ, რომ ეროვნული საკითხის იდეალური გადაწყვეტა მდგომარეობს ნაციონალურ სახელმწიფოს შექმნაში. ყოველი ჯანსაღი უსახელმწიფო ერი საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ მიისწრაფის. ეს არის მისი უკვდავი წყურვილი. ხოლო თუ ერს სახელმწიფო უკვე აქვს, ის მის დასაცველ და შესანარჩუნებლად არასფერს არ ზოგავს.

რით აიხსნება ასეთი დაუცხრომელი ლტოლვა სახელმწიფოს შექმნისადმი ან უკვე შექმნილი სახელმწიფოს თავგანწირულ დაცვისადმი?

მოკლეთ შეგვიძლია ასე უპასუხოთ.

სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია უდიდესი და უძლიერესი იარაღია არსებობისათვის ბრძოლაში, რომლის სიმძაფრე და შეუბრალებლობა აიძულებს ყოველ ცოცხალ არსებას გაქრობის შიშით გამონახოს თავდასაცავი საშუალება. ერს, როგორც ერთგვარ სოციალურ არსებას შეგნებულად თუ შეუგნებლად, თავდაცვის ინსტინქტი უკარნახებს სახელმწიფოებრივ ჯავშნის ძებნას და მისთვის ბრძოლას.

გარდა ამისა სახელმწიფო არის საუკეთესო საშუალება ერის მატერიალურ ძალების ასადორძინებლად და ფსიხიური ენერგიის გასავითარებლად და გასაშლელად, რასაც ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს ერის კოლექტიური პიროვნების თავდაცვის პრინციპთან.

აქ არ ვილაპარაკებთ იმ ზნეობრივ—სოციალურ მიზნებზე, რომელსაც ობიექტიურათ, ნება-უნებურათ, ასახავს სახელმწიფოს რა გინდ ანტაგონისტური და კლასიური იყოს მისი სოციოლოგიური ბუნება ისტორიაში. მოძრავი, ანტაგონისტური და ცვალებადი შინაარსი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფორმებისა სრულებით არ უარყოფს ზნეობრივ—სოციალურ ხასიათს და ღირებულებას თვით სახელმწიფოებრიობისას.

მაშასადამე ერი, როგორც სოციალური ორგანიზმი მუდამ ცდილობს მაგარ სახელმწიფოებრივ ორგანოებით იყოს შემოსილი და ამგვარათ შეიარაღებული ვიდოდეს ცხოვრების გზაზე უკეთესი მერმისისაკენ, როდესაც ცხადია, სხვანაირი, უფრო სამართლიანი, უფრო მშვიდობიანი და კეთილ განწყობილური ურთიერთობა დამყარდება ხალხთა და სახელმწიფოთა შორის.

ყველა თანამედროვე ისტორიაში არსებული ერი, თუ კი მას სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალი აქვს, ამ მიდრეკილებას მიყვება, ამ ლტოლვილებას იჩენს, ამ, შეიძლება ხშირად შეუცდომელ სახელმწიფოებრიობის იდეას მორჩილებს.

ეს გამოაშკარავა ჯერ ომის და შემდეგ რევოლიუციების ქარცეცხლმა მთელს ქვეყნიერებაზე. ჩვენ ერთხელ ამ წერილებში კიდეც გვქონდა შემთხვევა გვეთქვა, რომ დიდი რთული, იმპერიალისტური სახელმწიფონი (ავსტრია, რუსეთი) დაიშალენ და მათ ნანგრევებზე აღიმართენ ეროვნული სახელმწიფოები. ეს არ გახლდათ რაიმე სასწაულის ან შემთხვევის საქმე. ეს იყო და არის გარდუვალი ლოღიკა ისტორიულ მსვლელობისა.

რევოლიუცია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა გაშლა-განვითარებას იწვევს. და ამ ძალთ რთულ, მრავალ ეროვან იმპერიებში არ შეეძლოთ არ ამოეხეთქათ ნაციონალურ სახელმწიფოთა წარმოშობის შადრევანად. რევოლიუცია ხალხის ფართო მასებს ღძრავს, დემოკრატიულ მოძრაობას ასპარეზს უშლის. და აი ამ დემოკრატიის გაღვიძებას, დემოკრატიული სულის გაძლიერებას დამორჩილებულ ერებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა; მას თან სდევს ბუნებრივი, აუცილებელი მოძრაობა საკუთარი სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად, ნაციონალური სახელმწიფოს დასაარსებლად. ამნაირათ ნაციონალური სახელმწიფოს წარმოშობას თანამედროვე პირობებში იწვევს დემოკრატიული განვითარება და დემოკრატია.

დიდი უფლების მეტყველი ბლუნჩლი, დიდი ხანია მას აქეთ, აღიარებდა იმ შეხედულების სამართლიანობას, რომ კაცობრიობაში იმდენი სახელმწიფო უნდა იყოს, რამდენიც ერია. სხვა საკითხია ყველა გასახელმწიფოებრივებული ერნი როგორ საერთო ენას გამონახავენ შესათანხმებლად და შესაერთებლად და რანაირი ინტერსახელმწიფოებრივი modus wiwendi დამყარდებოდა მათ შორის, რაგვარ საერთაშორისო კავშირს და ურთიერთულ განწყობილებას შექმნიდა (კაცობრიობა. მაშინდელი სოციოლოგია, უფლება და პოლიტიკა ამაზე ფიქრობდა. ამის საუცხოო დამამტკიცებელია თვით ბლუნჩლი, რომელიც მთელი თავის დიდი ჰუმანიური და მეცნიერული არსებით მოუწოდებდა ერებს და სახელმწიფოებს „საერთაშორისო კანონმდებლობის" შესაქმნელად.

მას აქეთ დიდმა ხანმა განვლო. კაცობრიობამ საზღაპრო ნაბიჯი გადადგა წინ ტეხნიკურ და ინტელექტუალურ წინსვლის გზაზე. მაგრამ ამავე დროს განხეთქილებამ თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარების უმაღლეს ხარისხს მიაღწია. ამ გარემოებამ თავისი დაღი დაასვა მთელს თანამედროვე ცივილიზაციას. მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სულიერი კულტურა და ცოდნის ხასიათი ვინდელბანდმა ასე დაახასიათა: დღეს გათიშულია საზოგადოებრივი კულტურა და შეგნება, საზოგადოებას აღარ აერთებს სულიერი ნათესაობა, კულტურული ერთიანობა დარღვეულიათ („Прелюдии" გვ. 140—41).

სოციალისტური მოძრაობა გაძლიერდა. მუშათა საერთაშორისო სოლიდარობა ინტერნაციონალის არსებობაში გამოიხატა. ახალი კულტურის და ცივილიზაციის გამომთქმელებმა და გადამახალისებელმა ძალამ უკვე ამოანათა კაცობრიობის ცხოვრების ცის ტატნობზე. მაგრამ ეს მოძრაობა შედარებითი სიძლიერეს წარმოადგენდა მხოლოდ. ძველი ქვეყნის კონსერვატიული ძალების დამარცხება და იმპერიალიზმის ამოაგდებული ტალღების გადალახვა მან სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შესძლო. ამ ჟამად სოციალური დემოკრატია უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა და იფეთქა საშინელმა საერთაშორისო ომმა...

მკითხველმა იცის, რითი დასრულდა ეს საშინელი სისხლის ღვრა, თუ კი შეიძლება იგი დასრულებულად ჩაითვალოს. ომის უდიდესი შედეგებია საყოველთაო სოციალურ-ეკონომიური დავრდომილება და რევოლიუციები. სწორედ ამ დროს ეკუთვნის ნაციონალურ სახელმწიფოთა გამოყოფა და დაარსება ყოფილ დიდ დაშლილ იმპერიალისტურ სახელმწიფოების ნაწილებისაგან.

ეს პროცესი სხვა და სხვა ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბებისა ჯერ კიდევ დაუსრულებელია. მისი შეჩერება ან განელება დიდი ხნით არ ძალუძს არავითარ კონტრ-რევოლიუციას, არც არავითარ კომუნისტურ ანარქიას. მხოლოდ დემოკრატიაა თანამსრბოლი ამ დიადი შემოქმედი პროცესისა. დემოკრატიის განვითარება მოასწავებს ერთა თავისუფლებას და განთავისუფლებას ნაციონალურ სახელმწიფოებრიობის გზით. ხოლო დემოკრატიისაკენ მიისწრაფის ნებსით თუ უნებლიეთ მთელი ევროპა, მთელი კაცობრიობა. ვერავითარი ძალა, მონარქიული, თუ ანარქიული, ვერ შეაჩერებს ამ განვითარებას, რომელიც ბოლოს და ბოლოს უთუოდ მიიყვანს ერთა შორის ურთიერთობას მტკიცე შეთანხმების და კავშირის დაფუძნებამდე. ვაშერო სამართლიანად შენიშნავს, რომ „თანამედროვე საზოგადოებანი მიილტვიან დემოკრატიისაკენ ყოველნაირი გზით, რევოლიუციებით, რესტავრაციებით, თავისუფლებით, დესპოტიზმით, ანარქიით" (La democratie). ეს დემოკრატიული ლტოლვილება კი, როგორც ვთქვით, ერთა სახელმწიფოებრივი თვითგანთავისუფლების აუცილებელი პირობა და მიზეზია.

გავეცნოთ მოკლეთ თანამედროვე პროგრამიულ შეხედულებას ამ საინტერესო საგანზე.

პ. საყვარელიძე.

(შემდეგი იქნება)